ექსპერტიზის დასკვნა



არქ ექსპერტიზის ცენტრი

ქ. თბილისი 26.08.2017 წელი

ექსპერტიზის

ანგარიში№ AEC-III-IR-19-17

ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი N61 ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.16.05.003.069) მდებარე შენობაზე საოფისე ფართის დაშენების პროექტის არქიტექტურული ნაწილების ექსპერტიზის შესახებ

1. **ექსპერტიზის სახეობა :**

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა. დოკუმენტის №IMP-II-01-17-ის შესაბამისად.

2. **შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“ ექსპერტიზის ორგანო**

სამართლებრივად ნაკისრი ვალდებულებებით პასუხისმგებელია ინსპექტირება ექსპერტიზის მიუკერძოებლობაზე, კვლევის ჯეროვან ჩატარებაზე და ინსპექტირება ექსპერტიზის ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის კონფიდენციალობაზე.

ექსპერტთა ჯგუფს კომპანიის ხელმძღვანელობისგან განემარტა ექსპერტის უფლება მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან გაფრთხილებულნი ვართ, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საინსპექტორო საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის პასუხისმგებლობაზე, მათ შორის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

თბილისი წერეთლის N72 593 444 141 www.aec.ge

შპს "არქ ექსპერტიზის ცენტრი" * "ARCH EXPERTISE CENTER" LTD * EC 402050052

3. ინფორმაციული ზოგადი ნაწილი

ინსპექტირების (ექსპერტიზის) სახეობა	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა.
ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიცირება	**ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი N61 ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთი (ს/კ №01.16.05.003.069)**
ინსპექტირების ჩატარების თარიღი	10.07.2017—26.08.2017
ანგარიშის ადრესატი	შპს „მეიდან ჯგუფი“
ინსპექტირების ჩატარების საფუძველი	1. განაცხადი № AEC-III-A-19-17 2. ხელშეკრულება№ AEC-III-C-19-17
ინსპექტირების სახეობა, სამუშაოს აღწერილობა	ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზირი N61 საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო მონაცემებით ზონა 01, სექტორი 16, კვარტალი 05, ნაკვეთი 003/069) დაგეგმარებული საოფისე ფართის დაშენების პროექტის არქიტექტურული ნაწილების, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტი – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობის დადგენა
მომხმარებლის იდენტიფიკაცია	1. შ.პ.ს. „მეიდან ჯგუფი“ 2. ს/კ 204523239 3. მის: ქ. კ. აფხაზის ქ.N44 4. ელ. ფოსტა: keta@meidan.ge 5. ტელეფონი: 557 71 97 55 6. საკ. პირი: პაატა ჭავჭანიძე
ინსპექტირების ობიექტის მესაკუთრე	შპს „მეიდან ჯგუფი“
ინფორმაცია ინსპექტირების ჩატარების ადგილის შესახებ	ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი, № 72
ექსპერტიზის შემსრულებლები	ექსპერტი არქიტექტორი: ნინო მენთეშაშვილი ექსპერტი არქიტექტორი: ნატალია ვასილიევა
ინსპექტირების შედეგები ეხება	მხოლოდ იმ ობიექტს, რომელსაც ჩაუტარდა ინსპექტირება.
ნაკლოვანების ან ხარვეზის შემთხვევაში, ვადა, თუ როდის არის შესაძლებელი განმეორებითი ინსპექტირება	ვადა განისაზღვროს ახალი ხელშეკრულებით, განახლებული დოკუმენტაციის მოწოდების შემთხვევაში.

თბილისი წერეთლის N72 593 444 141 www.aec.ge

შპს "არქ ექსპერტიზის ცენტრი" * "ARCH EXPERTISE CENTER" LTD * EC #02050052

1. **დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია და ექსპერტიზის პროცესში გამოყენებული საკანონმდებლო ტექნიკური რეგლამენტი**

დამკვეთის, შპს „მეიდან ჯგუფი“-ს (ს/კ204523239) არქიტექტორის პაატა ჭავჭანიძის მიერ, პროექტის არქიტექტურული ნაწილების საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობის დადგენის მიზნით, წარმოდგენილი იქნა, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების მოთხოვნების შესაბამისად, ქ. თბილისში, აღმაშენებლის N61 ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ№01.16.05.003.069) დაგეგმარებული საოფისე ფართის დაშენების საპროექტო საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენელი არქიტექტურული ნაწილი:

1. ალბომი ერთი ეგზემპლიარი (A3 ფორმატი);
2. ელექტრონული ვერსია pdf ფაილის სახით ერთი ეგზემპლიარი.

პროექტის აღწერილობა, დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

ქ. თბილისი აღმაშენებლის გამზირი, 61

საპროექტო შენობა განთავსებულია დ. აღმაშენებლის გამზირზე და მიუხედავად იმისა, რომ შენობა ოდნავ სიღრმეშია განთავსებული გამზირის მხრიდან, წარმოადგენს დომინანტას ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში.

შენობა განთავსებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2-ში. ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან საკადასტრო საზღვარს ესაზღვრება სარეკრეაციო ზონა-2, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება საცხოვრებელი ზონა-6, სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება სატრანსპორტო ზონა. საკადასტრო საზღვარის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ტერიტორია სერვიტუტით არის დატვირთული მეიჯარე შპს „მეიდან ჯგუფი“-ს მიერ.

მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსებულია შენობა, სწორია და ქანობი არ გააჩნია. საკადასტრო საზღვრებში ხე-ნარგავები არ არის. შენობის წინა და უკანა მხარეს განთავსებულია ავტოსადგომები. ავტოსადგომები განთავსებულია ტორეცების მხრიდანაც.

არსებულ შენობაში დღეისათვის წარმატებით ფუნქციონირებს საქმიანი ინფრასტრუქტურა - შენობაში განთავსებულია სავაჭრო ფართები და საქმიანი ოფისები მრავალი წარმატებული ბრენდის.

დაშენების მიზანია შენობის საქმიანი, საოფისე და კომერციული ფუნქციის განვითარებისათვის დამატებითი საოფისე ფართის შექმნა.

პროექტი ითვალისწინებს არსებულ შენობაზე ერთი სართულის დაშენებას.

არსებული შენობა სამი ბლოკისგან შედგება: „ ა-ე “ ბლოკი, „ ე-ლ “ ბლოკი და “ ლ-ნ “ ბლოკი.

„ ა-ე “ ბლოკი და “ ლ-ნ “ ბლოკი ძველი აშენებულია-გასული საუკუნის 80-ან წლებში.

„ ა-ე “ ბლოკი გვიანდელია -7-8 წლის წინ აშენებული.

თბილისი წერეთლის N72 593 444 141 www.aec.ge

შპს "არქ ექსპერტიზის ცენტრი" * "ARCH EXPERTISE CENTER" LTD * EC 402050052

„ ა-ე “ ბლოკი 4 სართულიანია. 1-2-ე სართულზე განთავსებულია კომერციული და საოფისე ფართები. ბლოკის მე-3-4 სართულზე განთავსებულია სამაყურებლო დარბაზი.

“ ლ-ნ “ ბლოკი 6 სართულიანია და მასში მე-5 სართულზე საოფისე ფართებია განთავსებული. ბლოკის მე-5 სართულის თავზე განთავსებულია ტექნიკური სართული - მე-6 სართული, რომელიც გადახურულია ქანობიანი სახურავით სხვენით. ბლოკის მზიდი კონსტრუქცია მონოლითური კარკასია, გადახურვები-ანაკრეფი ბეტონის ფილებია - სიმკარები.

„ ე-ლ “ ბლოკი 5 სართულიანია (მე-3 სართული ორსინათლიანია), ახალი აშენებულია 2011-2015 წლებში, შენობის რეკონსტრუქციის შემდეგ. შენობის ეს ნაწილი კარკასულია, გადახურვები მონოლითური არმირებული ბეტონისაა.

სართულის დაშენება გათვალისწინებულია შენობის ცენტრალურ ნაწილზე („ ე-ლ „ ბლოკი) და უკანა მხარეს („ლ-ნ“ ბლოკი), ტექნიკური სართულის თავზე (არსებული სხვენის ნაცვლად). „ ა-ე “ ბლოკზე გათვალისწინებულია მხოლოდ კიბის უჯრედის დაშენება.

შპს „მეიდან ჯგუფი“-ს დაკვეთით შპს „კუბიკონის“-ს მიერ ჩატარდა შენობის კვლევა არსებული კონსტრუქციული მდგრადობის შესახებ და დამუშავდა კონსტრუქციული დასკვნა შენობაზე სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ. დასკვნა: „ქ.თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. #61-ში მდებარე ბიზნეს-ცენტრზე დაგეგმილი სარეკონსტრუქციო სამუშაოები წარმოდგენილი არქიტექტურული ნახაზების საფუძველზე მიგვაჩნია, რომ ტექნიკურად შესაძლებელია და რომ იგი არსებითად არ იმოქმედებს შენობის სიმტკიცეზე-მდგრადობაზე, საფრთხე არ შეექმნება შენობას არც რეკონსტრუქციის და არც მისი ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდში“.

დაშენებული სართული ტორეცების მხრიდან მთლიანად შემინულია. მთლიანად შემინულია ასევე ტექნიკური სართულის თავზე დაშენებაც - შემინვა იწყება არსებული ტუფით მოპირკეთებული პარაპეტის დონიდან. შენობის „1-1“ ღერძზე შემინვით დაფარულ კედელში ფანჯრების ღიობის ფართი კედლის 15%-ია. კედლის დანარჩენი ფართის შემინვა დეკორატიულ ხასიათს ატარებს, ფასადის ხასიათის შესანარჩუნებლად. კედლის შემინული სიბრტყის უკანა მხარე შევსებულია ცეცხლგამძლე თაბაშირმუყაოს ფილით.

დაშენებული სართულის კიბის უჯრედად გამოყენებულია არსებული ლიფტების და კიბის უჯრედები. სამივე კიბის უჯრედს დაემატება ერთი სართული. კიბის უჯრედების და ლიფთის არსებული გადახურვა „ლ-ნ“ ბლოკში აწეულია 1,5 მ-ით (არსებული ლიფტის სამანქანო სათავსოს ხარჯზე). კიბის უჯრედი „ა-ე“ ბლოკში მოწყობილია ისეთივე გაბარიტის, როგორც „ლ-ნ“ ბლოკში. კიბის უჯრედების კედლები მოპირკეთდება ტუფის ქვით (არსებული მოპირკეთების იდენტურად).

არსებული ტექნიკური სართულის თავზე „ლ-ნ“ ბლოკში დაშენებული საოფისე ფართის იატაკის დონე ნახევარი დონით განსხვავდება ლიფტის და კიბის უჯრედების დონისგან, ამისათვის ამ საოფისე ფართში დამატებით მოწყობილია კიბის მარშები, რომლითაც ოფისის დონე უკავშირდება კიბის უჯრედებს. ამ ოფისში ლიფტის უჯრედებთან დასაკავშირებლად შშმპ-ის გადაადგილებისათვის გათვალისწინებულია დამხმარე ლიფტის ბაქანი.

„ლ-ნ“ ბლოკში არსებული ლიფტები სართულის ±0,00 ნიშნულს უკავშირდება კიბით - ნახევარი მარშით. ამის გამო პირველ სართულზე ორივე კიბის უჯრედთან შშმპ-ის გადაადგილებისათვის გათვალისწინებულია დამხმარე ლიფტის ბაქანი.

თბილისი წერეთლის N72 593 444 141 www.aec.ge

შპს "არქ ექსპერტიზის ცენტრი" * "ARCH EXPERTISE CENTER" LTD * EC 402050052

აღმაშენებლის გამზირის მხრიდან დაშენება არ ჩანს, არ არღვევს შენობის მთლიანობას და არ ცვლის ჩამოყალიბებული განაშენიანების სტრუქტურას და იერსახეს.

დაშენების კონსტრუქციად გამოყენებულია მსუბუქი, უჟანგავის მეტალის კონსტრუქცია.

შენობის დაშენებული ნაწილის გადახურვა მსუბუქი მეტალის და ხის კონსტრუქციისაა და ანოდირებული მეტალის ფურცლით არის შემოსილი.

დაშენებული ცენტრალური ნაწილის გარე კედლები მსუბუქი კონსტრუქციისაა -მთლიანად შემინულია ალუმინის კარ-ფანჯრით, მეტალის კარკასი დაფარულია მეტალის ანოდირებული ფურცლებით (ალუკაბონდი).

დაშენებული უკანა ნაწილის გარე კედელიც მსუბუქი მეტალის კონსტრუქციისაა, კედელი მთლიანად შემინულია ალუმინის ვიტრაჟებით, მეტალის კარკასი შემოსილია ანოდირებული მეტალით (ალუკაბონდით). შემინვა იწყება არსებული ტუფით მოპირკეთებული პარაპეტის დონიდან.

ალუმინის კარი-ფანჯარა-ვიტრაჟებში შემინვად გამოყენებულია ცეცხლგამძლე მინით დამზადებული მინაპაკეტები.

ესკიზური პროექტი განაცხადით AR1486034 განხილული იყო საბჭოზე, და საბჭოს რეკომენდაციები გათვალისწინებულია.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საოფისე ფართის დაშენება დაგეგმარებულია: 1. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"; 2. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე; 3. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №64 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები"-ს დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და 4. საქართველოს მთავრობის 2014 წლის იანვრის №41 დადგენილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად.

ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც ჩატარდა ინსპექტირება

1. ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა. დოკუმენტის № IMP-II-01-17-ის შესაბამისად.
2. ექსპერტიზის შესრულების პროცესში გამოყენებული იქნა:
   - **„ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"-ს დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილება;**
   - **საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.**

თბილისი წერეთლის N72 593 444 141 www.aec.ge

შპს "არქ ექსპერტიზის ცენტრი" * "ARCH EXPERTISE CENTER" LTD * EC 402050052

კვლევითი ნაწილი

დამკვეთის, შპს „მეიდან ჯგუფი“ ს/კ 204523239 მიერ **№AEC-III-19-17** კონტრაქტის თანახმად მოთხოვნილია, ქ. თბილისში, აღმაშენებლის N61 ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ№01.16.05.003.069) დაგეგმარებული საოფისე ფართის დაშენების პროექტის არქიტექტურული ნაწილების ექსპერტიზა „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილების და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე მოთხოვნების შესაბამისობის დასადგენად.

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს დაკავებულობების კლასიფიცირებას მე-3 თავის მიხედვით.

პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობა:

საქმიანი ჯგუფი (სქ) (ოფისები, ბანკები, გასაქირავებელი ფართები)

შეესაბამება 304.1 ქვეთავს, კერძოდ „საქმიანი(სქ) ჯგუფის დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურო ტიპის საქმიანობისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშის შესანახად.

თბილისი წერეთლის N72 593 444 141 www.aec.ge

გამოყენებული წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები

შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი

ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულებები და აღწერეთ თითოეული გამოყენება
1. საქმიანი ჯგუფი სქ (±0.00 ნიშ.)-არსებული ა) გასაქირავებელი საოფისე ფართები; ბ) ბანკი; გ) სამზარეულო
2. საქმიანი ჯგუფი სქ (+19.70, +21.55,+ 21.70 ნიშ.)- საპროექტო სართული ა) გასაქირავებელი საოფისე ფართები; ბ) შეხვედრების ოთახი, გ) სამზარეულო

შენობაში არსებული თითოეული დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 1004 ქვეთავის 1004,1.2 ცხრილის მიხედვით. დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მისი დატვირთვებიც გამოთვლილია წესების მიხედვით.

ცხრილი 1004.1.2 მაქსიმალური ფართობის დაშვება თითო დამკავებელზე	
სივრცის დანიშნულება	დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი
საქმიანობის წარმოების (ბიზნეს)ფართობები	9.3

თბილისი წერეთლის N72 593 444 141 www.aec.ge

შპს "არქ ექსპერტიზის ცენტრი" * "ARCH EXPERTISE CENTER" LTD * EC 402050052

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

პროექტის კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ არსებული შენობის ელემენტები (მზიდი კედლები, სართულშუა გადახურვა) შეესაბამება I-B კონსტრუქციის ტიპს, ხოლო დასაშენებელი სართულისთვის შერჩეულია V-A ტიპის კონსტრუქცია, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნილ სიმაღლეს, ფართობსა და სართულიანობას 503 ცხრილის მიხედვით.

კონსტრუქციის ტიპი:	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის არსებული შენობისთვის: მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B	I-B (არსებული ±0.00, +4.80, +8.10, +11.40, +14.70, 18.10 ნიშ.)
განსაზღვრეთ კონსტრუქციის ტიპი ახალი შენობისთვის: მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B	V-A **(საპროექტო +19.70, +21.55, +21.70ნიშ.)**
შერეული კონსტრუქციის შემთხვევაში მიუთითეთ ტიპები, რომელიც გამოყენებული იქნება, განსაზღვრეთ ტიპები და მათი მდებარეობა:	

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

არსებული შენობის დასაშენებელი საპროექტო სართულის სიმაღლე **3.80** მ, შემოთავაზებული მაქსიმალური ფართობი 688,5კვ.მ; 503 ცხრილის მონაცემების შესაბამისად განისაზღვრა კონსტრუქციის ტიპი V-B.
შენობის თითოეული სივრცე დაყოფილია დაკავებულობების მიხედვით. თითოეული დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება 503 ცხრილში მითითებულ ფართობთან დაკავშირებულ ზღვრებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა. შენობის არსებული პირველი სართულის და დასაშენებელი საპროექტო მე-7 სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასასვლელის შემადგენელი კომპონენტების ზომები შეესაბამება მე-10 თავის მოთხოვნებს.

თბილისი წერეთლის N72 593 444 141 www.aec.ge

შპს "არქ ექსპერტიზის ცენტრი" * "ARCH EXPERTISE CENTER" LTD * EC 402050052

წესების მე-10 თავის 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილის საფუძველზე განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვების გამოთვლის და დაჯამების შემდეგ დადგინდა, რომ შენობის დაკავებულობის დატვირთვა პირველ სართულზე არის 155, ხოლო საპროექტო სართულზე - 74.
გასასვლელები გადანაწილდა შემდეგნაირად:

პირველ სართულზე მდებარე საქმიანი ჯგუფის ყველა დაკავებულობას, ორი მოთხოვნილის ნაცვლად, ემსახურება 6 გარეთ გასასვლელი კარი. გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 48 მ-ს.
მეშვიდე (საპროექტო) სართულზე განლაგებულ საქმიანი ჯგუფის დაკავებულობებს ემსახურება სამი გზა-კარი, რომლებიც გადის სამ გზა-კიბეზე. გზა-კიბეები მოწყობილია 1009 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი შეადგენს 31 მ-ს, რაც არ აღემატება 60 მეტრს და აკმაყოფილებს 1016 ქვეთავის მოთხოვნებს.
გასასვლელის გზა-დერეფანი აკმაყოფილებს 1023 ქვეთავის მოთხოვნებს.

5. გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1008.1.1 ქვეთავის და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (5.1 მმ). ხოლო გზა-დერეფანი შეესაბამება 1023.1 ქვეთავს, რომელთა სიგანეც დასაშვებ მინიმუმზე (1.1 მ) მეტი სიგანისაა: 1.50, 1.60, 2.30მ-ს შეადგენს. არსებული, ორი გზა-კიბეები სიგანით 1.25მეტრი და მესამე, კიბის გაგრძელებული ნაწილი, სიგანით- 1.30მ. რომელიც, დაშენებულ ნაწილს აკავშირებს ძირითად შენობასთან, სამივე აკმაყოფილებს 1009 ქვეთავის მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება

მე-11-ე თავის მოთხოვნების შესაბამისად გეგმაზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი და განსაზღვრულია საქმიანი ჯგუფის დაკავებულობების მისაწვდომობა სველ წერტილებთან. სხადასხვა დონეზე გადაადგილება შესაძლებელია ვერტიკალურად მოძრავი ბაქანისა და ლიფტის საშუალებით. ასევე პროექტით გათვალისწინებულია მისაწვდომი ავტოსადგომი.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

საპროექტო დოკუმენტაციის განხილვის შედეგად დადგინდა რომ, შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 1 საათს. ყველა კომპონენტი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის გათვალისწინებით გარე კედლის ღიობების ფართობი და ღიობების დაცვის ხარისხი,

თბილისი წერეთლის N72 593 444 141 www.aec.ge

განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და შეესაბამება 705.8 ცხრილს. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გათვალისწინებულია 601, 602 ცხრ. მიხედვით.

ცხრილი 601 ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის (სთ)			პროექტის მონაცემებით
შენობის ელემენტები	ტიპი-V		ტიპი-V
	A	B	A
ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოზ	1	0	1
მზიდი კედლები გარევ,ზ შიგ	 1 1	 0 0	 1 1
არამზიდი კედლები და ტიხრები გარე	იხ. ცხრილი 602		
არამზიდი კედლები და ტიხრები შიგა	0	0	0
იატაკის კონსტრუქცია და არამზიდი ნაწილები	1	0	1
სახურავის კონსტრუქცია და არამზიდი ნაწილები	1	0	1

ცხრილი 705.8 გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით		
ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მეტრებში)	ღიობების დაცვის ხარისხი	დასაშვები ფართობი
3,0 მ და მეტი და 4.5 მ-ზე ნაკლებივ,ზ	დაუცველი, საშხეფების გარეშე	15%
	დაუცველი, საშხეფებით	45%
	დაცული	45%
7.5-დან 9.0 მ-ზე ნაკლები	დაუცველი, საშხეფების გარეშე	70%
9.0 მ ან მეტი	დაუცველი, საშხეფების გარეშე	შეუზღუდავია

თბილისი წერეთლის N72 593 444 141 www.aec.ge

შპს "არქ ექსპერტიზის ცენტრი" * "ARCH EXPERTISE CENTER" LTD * EC 402050052

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით. სახურავის ანალიზის შემდეგ დადგინდა რომ, სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები აკმაყოფილებს კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე მოთხოვნილი 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხს. სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის Bკლასს (ცხრილი 1505.1).

„1505.3 B კლასის სახურავის ანაწყობები.Bკლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.“

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

პროექტით გათვალისწინებულია ცეცხლმედეგობის ხარისხიანი კიბის, ლიფტის, დერეფნების და სავენტილაციო შახტების გამიჯნვა.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

წარმოდგენილი პროექტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პროექტით გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, სახანძრო მილდგარების სისტემები და ხელის ცეცხლმაქრები (4 ცალი).

11. წყალსადენის სისტემი ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ტიპების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს (ცხრილი 1602.1). შენობა უზრუნველყოფილია მისაწვდომი ტუალეტებით და სხვა მოწყობილობებით (უნიტაზი, ხელსაბანი, სამომხმარებლო ნიჟარა, სასმელი წყლის შადრევანი).

თბილისი წერეთლის N72 593 444 141 www.aec.ge

ცხრილი 1602.1
წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალური რაოდენობაა (იხილეთ ქვეთავები 1602.2 და 1602.3)

No.	კლასი	დაკავებულობა	აღწერილობა	უნიტაზები	ხელსაბანები	აბაზანები / შხაპები	სამომსახურო ნიარა	წყლის დასალევი შადრევანი
1	საქმიანი	სქ	შენობები, რომლებიც განკუთვნილია ბიზნეს საქმიანობისთვის, პროფესიული მომსახურებების გასაწევად, სხვა მომსახურებების გასაწევად.	1 ცალი 25-ზე პირველი 150-თვის და ცალი 50-ზე დანარჩენის თვის 50-ს ზემოთ	1 ცალი 40-ზე პირველი 150-თვის და 1 ცალი 850-ზე დანარჩენის თვის 80-ს ზემოთ	-	1 სამომსახურო ნიჟარა	1 ცალი 100-ზე

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის№41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის– "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, საპროექტო-სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებისთან შესაბამისობის ანალიზს.
2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე. შ.პ.ს. „მეიდან ჯგუფი"-ს არქიტექტორი პაატა ჭავჭანიძე.
3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება *წესებში* გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული *წესების* მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა-ნაგებობის უსაფრხოების წესები".

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" (ცვლილება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება).

თბილისი წერეთლის N72 593 444 141 www.aec.ge

ექსპერტიზის დასკვნა

შპს „მეიდან ჯგუფი“-ს (ს/კ 204523239) მიერ, № AEC-III-C-19-17 კონტრაქტის საფუძველზე წარმოდგენილი ქ. თბილისში, აღმაშენებლის N61 ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ№01.16.05.003.069) დაგეგმარებული საოფისე ფართის დაშენების საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილების, მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად, ექსპერტების მიერ დადგინდა - მოწოდებული სახით ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული პროექტის ნაწილები შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან.

საქართველოში მოქმედი:

1. **საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ დამტკიცების თაობაზე“;**
2. **საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №41 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.**

მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილი პროექტის შემადგენელი არქიტექტურულ ნაწილებს ეძლევა დადებითი რეკომენდაცია.

ხელმოწერები:

ექსპერტი: **ნინო მენთეშაშვილი**

ექსპერტი: **ნატალია ვასილიევა**

ექსპერტიზის ანგარიში ტექნიკური წესით გადაამოწმა

ტექნიკურმა მენეჯერი : **მამუკა მენთეშაშვილი**

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა

დირექტორმა: **ალექსანდრე ხასია**

თბილისი წერეთლის N72 593 444 141 www.aec.ge

ნინო მენთეშაშვილი



მობილური: 995551302525

ელ-ფოსტა: nino.menteshashvili@yahoo.com

ოჯახური მდგომარეობა: დაქორწინებული

დაბადების თარიღი: 14 აგვისტო, 1963

განათლება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, სექტემბერი / 1983 - ივლისი / 1988
არქიტექტორი, არქიტექტურის ფაკულტეტი ბაკალავრი
მიბმული ფაილი

სამუშაო გამოცდილება

განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციითუზრუნველყოფისსამმართველოსუფროსის მოვალეობისშემსრულებელიმოვალეობის, საქართველოსოკუპირებულიტერიტორიებიდან იძულებითგადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთასამინისტრო, იან / 2014 - დღემდე,
მოვალეობები: -სამმართველოს საქმიანობის ხელმძღვანელობა, კოორდინირება, მონიტორინგი;-აზომვითი სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დეფექტური აქტის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; ცალკეულ ობიექტებზე მასალების მომზადება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე კონკურსების გამოცხადება;-საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე გამოცხადებულ კონკურსებზე წარმოდგენილი წინადადებების განხილვა, კომპეტენციის ფარგლებში გამარჯვებულის გამოსავლენად სატენდერო კომისიაზე წარდგენა; -წინადადებების წარდგენა სატენდერო კომისიისათვის საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების თაობაზე, სამშენებლო დასარეაბილიტაციო სამუშაოებზეტენდერისგამოცხადების უზრუნველყოფა.

შტატგარეშე მოსამსახურე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, თებ / 2013 - იან / 2014, 950 ლარი (11 თვე)

მოვალეობები: დევნილთა განსახლების ობიექტებში არსებული საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა(ობიექტების მდგომარეობის შესწავლა) , ობიექტებზე მისვლა, მობინადრეებთან გასაუბრება, მათი საჭიროებებისა და პრობლემების აღწერა (კომპეტენციის ფარგლებში) , შენობის აზომვა, შენობის ტექნიკური მახასიათებლების აღწერა, სპეციალური ფორმის შევსება, ხელმძღვანელობისთვის ონფორმაციის მიწოდება. დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტების რეაბილიტაციის ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელების ორგანიზება. სარეაბილიტაციო ობიექტების საკონკურსოდ გასატანი მასალების მომზადება. (შენობის გეგმის გამოხაზვა, მოცულობების დათვლა). მიზეზი: დაწინაურება

არქიტექტორი, შპს "კეიენდკეი", დეკ / 2010 - თებ / 2013 (26 თვე - 2 წელი და 2 თვე) მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა

მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, შპს "Mარქიტექტურა, ოქტ/2009 - დეკ/2010 (14 თვე - 1 წელი და 2 თვე) მოვალეობები: ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების პროექტებზე მუშაობა

მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, შპს "ქოხი", მაის/2004 - ოქტ/2009 (65 თვე - 5 წელი და 5 თვე) მოვალეობები: არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა

მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, საქქალაქმშენპროექტი, სექტ/1988 - მაის/2004 (188 თვე - 15 წელი და 8 თვე)
მოვალეობები: ქალაქგეგმარებით პროექტებზე მუშაობა მიზეზი:

ხელშეკრულების ვადის გასვლა

პრეპარატორი, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე არსებული საპროექტო ბიურო, სექტ / 1982 - სექტ / 1983 (12 თვე - 1 წელი)
მოვალეობები: პრეპარატორის ფუნქცია-მოვალეობები მიზეზი: სწავლის

გაგრძელება

ოპერატორი, გამომთვლელი ტექნიკის სარემონტო ქარხნია, სექტ/1980 - სექტ/1981 (12 თვე - 1 წელი)
მოვალეობები: საოპერატორო სამუშაოს შესრულება მიზეზი: სწავლის

გაგრძელება

სრული სტაჟი: 330 თვე (27 წელი და 6 თვე)

ენები

ქართული (წერა: ძალიან კარგი, მეტყველება: ძალიან კარგი), რუსული (წერა: ძალიან კარგი, მეტყველება: ძალიან კარგი), ინგლისური (წერა: კარგი, მეტყველება: კარგი)

კომპიუტერული პროგრამები

Microsoft Office Word (ძალიან კარგი), Microsoft Office Excel (ძალიან კარგი), ArchiCAD (ძალიან კარგი), Microsoft Office PowerPoint (ძალიან კარგი), Microsoft Office Outlook (ძალიან კარგი)

ტრენინგები, სხვა მიღწევები

თბილისი სმერიის, მაისი/2010 - დეკემბერი/2012 ინგლისური ენის კურსები

რეკომენდატორები

გიანა ჭყონია, განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის მოვალეობის შემსრულებელი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. gianatchkebia@rambler.ru, 599035437







შპს "არქ ექსპერტიზის ცენტრი"
"ARCH EXPERTISE CENTER" LTD
EC
402050052

რეზიუმე (CV)



სახელი და გვარი:	**ნატალია ვასილიევა**
დაბადების ადგილი:	**საქართველო, თბილისი**
ოჯახური მდგომარეობა:	**დაოჯახებული**
მისამართი:	**თბილისი, შალვა ცინცაძის ქ., 41**
ტელეფონი:	**(+995-32) 2-66-33-38; მობ. 5 55 599 479**
ენები:	**ქართული სრულყოფილად, რუსული - მშობლიური, ინგლისური კარგად**

განათლება:

1974–1979 წწ – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. **არქიტექტორის დიპლომი (წარჩინებით).**

1979–1981 წწ – უცხო ენების შემსწავლელი ორწლიანი კურსები (თბილისის სახელმწიფო უცხო ენათა ი.ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებული). **წარჩინების დიპლომი.**

1981–1985 წწ – საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის ცენტრალური სამეცნიერო– კვლევითი ინსტიტუტი, ქ. მოსკოვი. **ასპირანტურა, მოწმობა.**

2011-2012 წ – ქ.თბილისის მერიის ინგლისური ენის კურსები - 2-ე და 3-ე დონეები. **სერტიფიკატები.**

მუშაობის გამოცდილება:

2014-	შპს „პროგრესი" (საპროექტო კომპანია), თანანმდებობა: **არქიტექტორი.**
2011-2012	შპს "მარჩენკო" (არქიტექტურა, ტოპოგრაფია, 3დ სკანირება) თანანმდებობა: **არქიტექტორი.**
2008-2011	შპს „ტოპ დიზაინი"(საპროექტო–არქიტექტურული ფირმა), თანანმდებობა: **მთავარი არქიტექტორი.**
1998–1999	მუნიციპალური განვითარების ფონდი (**MDF** – მსოფლიო ბანკის პროექტი). თანანმდებობა: **კონსულტანტ–არქიტექტორი.**
1987–1996	ქ.თბილისის ისტორიული ნაწილის დაცვის სახელმწიფო სამმართველო (თბილისის მერიასთან არსებული). თანანმდებობა: **უფროსი არქიტექტორი.**
1979–1981	„თბილზნიეპი" (სამეცნიერო–კვლევითი და საექსპერიმენტო საპროექტო ზონალური ინსტიტუტი). თანანმდებობა: **არქიტექტორი.**



- საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობა–ნაგებობების დაპროექტება;
- საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობა-ნაგებობებზე);
- საპროექტო–სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება (ესკიზური და მუშა პროექტების სტადიები, მშენებლობის სანებართვო სტადია) საქართველოს საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად;
- ვმუშაობ კომპიუტერულ პროგრამებში: **ArchiCAD, AutoCAD, AutoCAD Land, MS Office: Word, Excel, Power Point, Paint;**
- ვაწარმოებ არქიტექტორულ–ტექნიკურ ზედამხედველობას; ვამოწმებ გრაფიკის მიხედვით შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშს;
- ვთარგმნი ტექნიკურ დოკუმენტაციას რუსული და ინგლისური ენებიდან ქართულზე და ქართულიდან რუსულზე;

პიროვნული თვისებები

- პუნქტუალობა
- ორგანიზებულობა
- ანალიტიკური აზროვნება
- მაღალი პასუხისგებლობა
- ინდივიდუალური გა გუნდური მუშაობის უნარი
- კარგი კომუნიკაციის უნარი

ბოლო დროის არქიტექტურული პროექტები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ობიექტები:

1. ქუთაისი, სამხედრო ნაწილის ყაზარმა - 2007წ;
2. ქუთაისი, კოპიტნარი,საავიაციო ბაზა - 2007წ;
3. ვაზიანი, სამხედრო ნაწილის ყაზარმა - 2008წ;
4. გენერალური შტაბის შენობის რეკონსტრუქცია - 2008წ.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები:

1. დაბა თაბახმელა - 2008წ;
2. თბილისი, შ. ცინცაძის ქ., #41 – 2009წ.

მრავალფუნქციური სასაწყობე შენობა: თბილისი, გურამიშვილის გამზ., #39ა - 2016წ.

ავარიული სახლების გამაგრება-გაძლიერების არქიტექტურული პროექტები (თბილისი):

1. ჩეხოვის ქ., #37 – 2015წ;
2. ქიქოძის ქ., #12 – 2015წ;
3. გლდანის II მკრნ, კორპ. 25 – 2015წ;
4. გლდანის VI მკრნ, კორპ.2 – 2015წ.

საექსპერტო დასკვნები არიტექტურულ პროექტებზე (2015წ):

1. საექსპერტო დასკვნა #70/1-1 ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე „ოლომპიური მძლეოსნობის კომპლექსის“ არქიტექტურულ პროექტზე;
2. საექსპერტო დასკვნა #151/3 ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე „ფრენბურთის ოლომპიური დარბაზების“ არქიტექტურულ პროექტზე.



დიპლომი

წარჩინებით

Ч № 754004

ეს დიპლომი მიეცა ნატალია აზარის ასულ ვასილიევას

მასზე, რომ იგი 1974 წელს შევიდა საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1980 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1980 წ. „10" 07 გადაწყვეტილებით ნ. ა. ვასილიევას მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1980 წ. „30" 09

სარეგისტრაციო № 11024

Грузинский яз.

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

Ч № 754004

Настоящий диплом выдан Васильевой Наталье Азаревне

в том, что она в 1974 году поступила в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1980 году окончила полный курс названного института

по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от 10 07 1980 г.

Васильевой Н.А.

присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П. Город Тбилиси 30 09 1980 г.

Регистрационный № 11024

Московская типография Гознака. 1967.

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01019013928

სახელი ნატალია

გვარი ვასილიევა

დაბადების თარიღი 09.02.1955წ

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება — —

N° J 0216352

პირადი ხელმოწერა

მისამართი — —

თბილისი

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება

ნაძალადევის რაიონის შ.ს.სამმართველო

გაცემის თარიღი 20.09.1999წ

მოქმედების ვადა უვადო

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა

საქართველოს მოქალაქის

რეგისტრაციის მოწმობა ა 570006

ბარათი პირადობის მოწმობასთან ერთად

სახელი ნატალია

გვარი ვასილიევა

პირადი № 01019013928

მისამართი თბილისი ცინცაძის 41

რეგისტრაციის ორგანოს დასახელება

თბილისის ნაძალადევის რაიონის შ.ს.ს.

თანამდებობის პირის ხელმოწერა

„20" 09 1999წ.

გაცემის თარიღი

თბილისის ნაძ... რაიონის შს სამ...

რეგის... შ. ა.

24 04 86 წ.

ხელმოწერა

შპს "არქ ექსპერტიზის ცენტრი" * "ARCH EXPERTISE CENTER" LTD * 402050052

AEC